

შპს „ელექტრონი“

2024 წლის

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	22,576	24,428	23,487
სულ გრძელვადიანი აქტივები		22,576	24,428	23,487
სასაქონლო მარაგები	4	851,260	986,083	1,006,765
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	8,925	1,526,053	1,336,430
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		604,420	138,026	260,334
სხვა მიმდინარე აქტივები	6	160,224	256,905	646,057
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,624,829	2,907,067	3,249,587
სულ აქტივები		1,647,405	2,931,495	3,273,074
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	1,079,757	2,571,508	3,112,414
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,079,757	2,571,508	3,112,414
გრძელვადიანი ვალდებულებები		100,000	-	100,000
სულ ვალდებულებები		1,179,757	2,571,508	3,212,414
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		467,648	359,987	60,660
სულ საკუთარი კაპიტალი		467,648	359,987	60,660
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,647,406	2,931,495	3,273,074

შპს „ელექტრონი“-ს

დირექტორი ივანე მაღლაკელიძე



მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024 პერიოდისთვის

		2024	2023	2022
	შენიშვნა	ლარი	ლარი	ლარი
ამონაგები	8	3,226,066	5,660,992	2,280,122
ამონაგების თვითღირებულება		(1,675,181)	(3,205,303)	(1,297,575)
საერთო მოგება		1,550,885	2,455,689	982,547
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(913,892)	(1,789,345)	(732,139)
ფინანსური ხარჯი		(23,419)	(30,546)	(28,254)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(16,005)	-	(14,525)
მოგება დაბეგვრამდე		597,568	635,798	207,629
მოგების გადასახადი		(73,486)	(50,471)	(66,706)
წმინდა მოგება/ზარალი		524,082	585,327	140,923

შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024
პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2021		297,736	297,736
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	(378,000)	(378,000)
გაცემული დივიდენდები			-
პერიოდის მოგება		140,923	140,923
ნაშთი - 31.12.2022		60,660	60,660
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(286,000)	(286,000)
პერიოდის მოგება		585,327	585,327
ნაშთი - 31.12.2023		359,987	359,987
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(416,421)	(416,421)
პერიოდის მოგება		524,082	524,082
ნაშთი - 31.12.2024		467,648	467,648

შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე



შპს „ელექტრონი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელექტრონი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 19/04/2013). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. სარაჯიშვილის ქ. #15. საზოგადოების ძირითადი საქმიანობაა მშენებლობების (ძირითადად გზების, გვირაბების) ელექტრო და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველყოფა, მაღალი ძაბვის ქვესადგურების ტელეკომუნიკაციების მშენებლობა-მონტაჟი, აგრეთვე გარე განათების ქსელების მონტაჟი. კომპანა საქმიანობას ანხორციელებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

დირექტორი: ივანე მაღლაკელიძე (პ.ნ. 01002000903)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის

მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31/12/2024	31/12/2023
	წელი	წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

ამონაგების აღიარება

ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი ან/და მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------------------|------------------|
| • შენობა-ნაგებობები | 5 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 – 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 10 – 30 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო

მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ

ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო

თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 3.

ძირითადი საშუალებები

	მსუბუქი ავტომობილები	ოფისის აღჭურვილობა
თვითღირებულება	ლარი	ლარი
1 იანვარი 2022 წ.	32,970	10,393
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022 წ.	32,970	11,053
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31.12.2021	(15,562)	(2,364)
ცვეთა პერიოდისათვის	(1,741)	(869)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2022	(17,303)	(3,233)
წმინდა ღირებულება	15,667	7,820
ბალანსი 31.12.2022		
თვითღირებულება		
1 იანვარი 2023 წ.	32,970	11,053
შემოსვლა	-	4,071
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2023 წ.	32,970	15,124
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31.12.2022	(17,303)	(3,233)
ცვეთა პერიოდისათვის		(3,131)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2023	(17,303)	(6,364)
წმინდა ღირებულება	15,667	8,760
ბალანსი 31.12.2023		
თვითღირებულება		
1 იანვარი 2024 წ.	15,667	8,760
შემოსვლა	-	1,890
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2024 წ.	15,667	10,650
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31.12.2023	(17,303)	(6,364)
ცვეთა პერიოდისათვის	(1,410)	(2,332)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2024	(18,713)	(8,695)
წმინდა ღირებულება	14,257	8,319
ბალანსი 31.12.2024		

შენიშვნა 4.

სასაქონლო მარაგები

	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
საწყისი მარაგები	986,083	1,006,765	269,946
მარაგების შესყიდვა	1,544,592	3,187,037	2,034,394
რეალიზებული თვითღირებულება	(1,679,415)	(3,207,720)	(1,297,575)
სულ:	<u>851,260</u>	<u>986,083</u>	<u>1,006,765</u>

შენიშვნა 5.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	8,925	1,526,053	1,336,430
სულ:	<u>8,925</u>	<u>1,526,053</u>	<u>1,336,430</u>

შენიშვნა 6.

სხვა მიმდინარე აქტივები

	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
გადახდილი ავანსები	128,827	154,602	521,444
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31,397	102,304	124,614
სულ:	<u>160,224</u>	<u>256,905</u>	<u>646,057</u>

შენიშვნა 7.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	142,166	167,978	109,625
მიღებული ავანსები	937,593	2,403,531	3,002,789
სულ:	<u>1,079,757</u>	<u>2,571,508</u>	<u>3,112,414</u>

შენიშვნა 8.

ამონაგები

კომპანია ახორციელებს მაღალი ძაბვის ხაზებისა და ქვესადგურების, ასევე ტელეკომუნიკაციების და გარე განათების ქსელების მშენებლობა-მონტაჟს. შემოსავალი აღირიცხება მაშინ, როდესაც მიყიდვებს მიეწოდება შესაბამისი მომსახურება ან/და საკუთრების უფლება გადაეცემა

	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	<u>3,226,066</u>	<u>5,660,992</u>	<u>2,280,122</u>

შენიშვნა 9.

ადმინისტრაციული ხარჯები	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(673,758)	(1,203,213)	(573,300)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,742)	(3,131)	(2,610)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(236,393)	(583,002)	(132,230)
იჯარის ხარჯი	-	-	(24,000)
სულ:	<u>(913,892)</u>	<u>(1,789,345)</u>	<u>(732,139)</u>

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ანგარიშგების შინაარსზე

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2025 წლის -- 10 სექტემბერს.

შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე

